აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველო

ოკუპირებული აფხაზეთის ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები

22 აპრილი, 2018

შინაარსი

1. **შესავალი**
2. **ტურიზმის განვითარების ტენდენციები**
   2.1. **ტურისტული ნაკადების მასშტაბები**
   2.2. **„ერთდღიანი“ ტურისტების ნაკადები და მათგან მიღებული შემოსავლები**
   2.3. **ტურისტული განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები**
3. **სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები**
4. **დასკვნები**

1. შესავალი

ოკუპირებულ აფხაზეთში ეკონომიკის აღორძინებასა და განვითარებაზე არ წყდება მსჯელობა. როგორ ეკონომიკურ მოდელს აირჩევს ე.წ. რესპუბლიკის დე-ფაქტო ხელისუფლება? რა პრიორიტეტებს გამოყოფს ეკონომიკის ასაღორძინებლად? როდემდე იქნებიან რუსულ ფინანსებზე დამოკიდებული? როდის დაიწყება საშუალო და მცირე ბიზნესის დაფინანსება? ეს არის ის კითხვები, რომელიც აწუხებს ოკუპირებული აფხაზეთის როგორც დე-ფაქტო ხელისუფლებას, ისე მოსახლეობას.

2017 წლის 20 დეკემბერს ე.წ. პარლამენტარების წინაშე სიტყვით გამოსვლის დროს ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო „ლიდერმა“ რაულ ხაჯიმბამ ხაზი გაუსვა რეგიონის თვითმყოფადი ეკონომიკის მშენებლობის მნიშვნელობას და გამოჰყო ამ მიზნის მიღწევისთვის ორი საკვანძო დარგი - ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. მან აღნიშნა, რომ ეს დარგები, მათ მხარდამჭერ სექტორებთან ერთად, როგორიცაა საბანკო სფერო, ვაჭრობა, ენერგეტიკა და ტრანსპორტი, უნდა გახდეს „ეროვნული“ ეკონომიკის ზრდის მამოძრავებელი ძალა და, შესაბამისად, რეგიონში არსებული უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის მოგვარების საფუძველი.

ჩვენი ანალიტიკური ბარათის მიზანია, სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაციისა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენების საფუძველზე გავაშუქოთ ის ზოგადი მდგომარეობა, რომელიც ეხება ოკუპირებული აფხაზეთის ტურიზმსა და სოფლის მეურნეობას, და განვიხილოთ ზოგიერთი ტენდენცია ამ სფეროებში მიმდინარე პროცესებისა და ზოგადად „განვითარების“ შესახებ.

2. ტურიზმის განვითარების ტენდენციები

2.1. <u>ტურისტული ნაკადების მასშტაბები</u>

ოკუპირებული აფხაზეთის ტურისტულ სფეროში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ტენდენცია, რომ სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოზე დაყრდნობით ადგილობრივ მასმედიაში ყოველი საკურორტო სეზონის ბოლოს ვრცელდება ურთიერთსაწინააღმდეგო ციფრები რეგიონში ჩამოსული ტურისტებისა და დამსვენებლების რაოდენობასთან დაკავშირებით.

პირველ რიგში, შესაბამისი ტერმინოლოგიის არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში ტურისტებს ყოფენ სამ კატეგორიად:

1. ტურისტები, რომლებიც ჩამოდიან საგზურებით (ორგანიზებული ტურისტები);
2. ტურისტები, რომლებიც ისვენებენ კერძო სექტორში (არაორგანიზებული ტურისტები);
3. ტურისტები, რომლებიც შემოდიან აფხაზეთში ერთდღიანი ვიზიტით ექსკურსიის მიზნით.

ამასთან ერთად, საბინაო ფონდიც, რომელიც მოიცავს გარკვეული რაოდენობის საწოლ ადგილებს, პირობითად დაყოფილია შესაბამის სექტორებად:

1. კერძო სექტორი;
2. მინი-სასტუმროები;
3. საჯარო სექტორი, რომელიც მოიცავს სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, პანსიონატებსა და გაჯანსაღების კურორტებს.

<u>2013-2014 წლებში</u> მასმედიაში ზოგადად ვრცელდებოდა ინფორმაცია **600-700 ათასიდან 3-3,5 მლნ-მდე ტურისტის** (იგულისხმება ყველა კატეგორიის ტურისტი) შესახებ [1].

<u>2015 წელს</u> სხვადასხვა მასმედიის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით აფხაზეთს ესტუმრა დაახლოებით **2 მლნ-დან** [2] **3 მლნ-მდე ტურისტი** [3].

ამასთან ამ წლებში იმავე მასმედიის საშუალებებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ საბჭოთა პერიოდში აფხაზეთში დასასვენებლად საკურორტო სეზონის განმავლობაში ორგანიზებულად ჩამოდიოდა **1,5 მლნ,** ხოლო არაორგანიზებულად - **3 მლნ ტურისტი.**

აღსანიშნავია, რომ იმავე წლებში, ამ ინფორმაციის საწინააღმდეგოდ, რადიკალურად განსხვავებულ მონაცემებზე საუბრობდნენ სახელისუფლებო უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც თვითონ ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ეს ციფრები (მათ შორის საბჭოთა პერიოდის ციფრები) მნიშვნელოვნად არის გაზვიადებული.

მაგალითად, ტურიზმისა და კურორტების დე-ფაქტო მინისტრის ავთანდილ ღარწკიას განცხადების მიხედვით <u>2014 წელს</u> აფხაზეთს ესტუმრა მხოლოდ **130,000 ტურისტი** (*2015 წლის 24 მარტს აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის გადაცემა "ვეჩერნი ექსპრეს"-ში გაკეთებული განცხადება*).

ამასთან, მისივე განცხადების მიხედვით <u>2015 წელს</u> აფხაზეთს ესტუმრა **1,030,000 ტურისტი** [4], ხოლო მისი მოადგილის ასტამურ ახბას მიხედვით წლის დასაწყისიდან 1 აგვისტომდე - მხოლოდ **550,000 ტურისტი** (ეს ის ადამიანებია, ვინც, ერთი მხრივ, ჩამოვიდა დასასვენებლად პანსიონატებსა და სასტუმროებში და, მეორე მხრივ, შემოვიდა ერთდღიანი ექსკურსიების ფარგლებში) [5]. ასტამირ ახბას თქმით, **2015 წლის 1 აგვისტოს** მდგომარეობის მონაცემების თანახმად რუსეთ-

აფხაზეთის საზღვარი ორივე მიმართულებით გადაკვეთა **4,264 მლნ-მა ადამიანმა, რაც გასულ წელთან შედარებით ერთი მილიონით მეტია.** მან აღნიშნა, რომ ამ ციფრებით არ შეიძლება დგინდებოდეს ტურისტული ნაკადის მასშტაბი, რადგან აქ გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, რომ საზღვარს კვეთავენ არა მხოლოდ ტურისტები, არამედ ადგილობრივი მოსახლეობა, „გასტარბაიტერები“ (მშრომელი მიგრანტები) და ა.შ., თან რამდენჯერმე დღის განმავლობაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ "აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობის“ ერთ-ერთი ცნობარის მონაცემებზე დაყრდნობით ტურიზმისა და კურორტების დე-ფაქტო მინისტრის მოადგილემ ასტამურ ახბამ განაცხადა, რომ საბჭოთა დროს **1986 წელს** აფხაზეთის კურორტებზე ისვენებდა და მკურნალობდა **550 ათასამდე ადამიანი** (457,900 ადამიანი შემოვიდა ხანგრძლივი პერიოდით, ხოლო 77,100 ადამიანი - შაბათ-კვირით).

იმ დროს რეგიონში ფუნქციონირებდა **130 სანატორიუმი, საკურორტო ობიექტი და ტურისტული ბაზა.** 20 სანატორიუმში, 39 დასასვენებელ სახლსა და პანსიონატში იყო 13,289 საწოლი ადგილი, ტურბაზებში - 15,560 საწოლი ადგილი, სხვა დასვენების ობიექტებში - 7,558 საწოლი ადგილი (ანუ სულ ამ ტიპის ობიექტებში იყო **36,407 საწოლი ადგილი**).

აღსანიშნავია, რომ იმ დროს ადამიანები ისვენებდნენ პროფკავშირის 24- ან 14-დღიანი საგზურებით. გაგრის ბინათაბიურო "სერვის"-მა და სოხუმის ბინათაბიურო "ოტდიხ"-მა კერძო სექტორში განათავსეს **500 ათასი ადამიანი.** 1986 წელს რესპუბლიკაში 6 საექსკურსიო ბიურო მუშაობდა. იმ წელს ახალი **ათონის მღვიმეს 644 ათასი ადამიანი** ეწვია (ყველაზე ხშირად ამ ობიექტებს ნახულობდა ერთი და იმავე ხალხი).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი საბჭოთა პერიოდის მონაცემები [6], რომლის მიხედვით **1980 წელს** აფხაზეთის ასსრ-ში ორგანიზებულად დასასვენებლად ჩამოსული იყო **582,900,** ხოლო არაორგანიზებულად - **1,557,000 კაცი.**

ასტამირ ახბას თქმით, **დღეს (2015 წლისთვის)** საკურორტო ობიექტების საბოლოო ფონდი 15 ათას საწოლ ადგილს აღწევს, ხოლო კერძო სექტორს შეუძლია 40 ათასამდე ადამიანის მიღება (ანუ როგორც მინი-სასტუმროებისა და საჯარო სექტორის საკურორტო ობიექტებში, ისე კერძო სექტორში სულ არის **55,000 საწოლი ადგილი**). შესაბამისად, ყველა ამ მონაცემების (მათ შორის ერთდღიანი ვიზიტით შემოსული ექსკურსანტების) გათვალისწინებით, შეიძლება საუბარი მხოლოდ **1,5 მლნ ტურისტზე წელიწადში (როგორც ვხედავთ, ესეც მხოლოდ სავარაუდო ციფრია, თანაც მაქსიმალურად შესაძლებელი).** მან ასევე აღნიშნა, რომ დამსვენებლების რეგიონში გაჩერების საშუალო დრო არ აღემატება 8-10-დღიან პერიოდს [7].

2016 წლიდან მასმედიაში გავრცელებული ციფრები სახელისუფლებო განცხადებებთან მიმართებით შედარებით უფრო ადეკვატური გახდა. თუმცა რეალური მდგომარეობის მიმართ მათი ადეკვატურობა მაინც ეჭვს ბადებს - მათი შემცირების მიუხედავად საეჭვოა მათი თითქმის ზუსტად დამთხვევა წინა წლებში გამოთქმულ თეორიულ მოსაზრებებსა და მაქსიმალურად შესაძლებელ გათვლებთან.

<u>2016 წლის</u> საკურორტო სეზონთან დაკავშირებით მასმედიაში გავრცელდა, რომ აფხაზეთს ესტუმრა **1,3-1,4 მლნ ტურისტი,** ხოლო ე.წ. მინისტრ ა. ღარწკიას განცხადებით - **1,495,000** ტურისტი [8].

2017 წელს კი რეალური სინამდვილე იმდენად სავალალო აღმოჩნდა, რომ ტურისტების საერთო რაოდენობასთან დაკავშირებით კონკრეტული ციფრებით მანიპულირებას ადგილი არ ჰქონდა (კონკრეტული ციფრები არც იყო მოყვანილი) - მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია მხოლოდ იმის შესახებ, რომ **წინა წელთან შედარებით ტურისტული ნაკადი 30%-ით, ხოლო აბსოლუტურ რიცხვებში - 1,7-ჯერ არის შემცირებული** [9].

ჩვენი მოსაზრებით, წინა წლებში ზემოთ აღნიშნული ციფრების გაბერვა მასმედიის საშუალებებში აიხსნება სწორედ იმ სურვილით, რომ რეგიონი წარსდგეს როგორც სტაბილურად განვითარებადი, ამასთან თითქოს მისი დღევანდელი განვითარების დონემ მიაღწია საბჭოთა პერიოდის დონეს, როდესაც აფხაზეთის სანატორიუმები, საკურორტო და დასასვენებელი სახლები, პანსიონატები და ტურბაზები მაქსიმალურად ივსებოდა დამსვენებლებით და ტურისტებით და სრული დატვირთვით ფუნქციონირებდნენ.

რაც შეეხება ოკუპირებულ აფხაზეთში ტურისტულ ნაკადებთან დაკავშირებით რეალობასთან მიახლოებულ სურათს მაინც - პირველ რიგში, გვინდა აღვნიშნოთ, საერთაშორისო ორგანიზაციის „Crisis Group"-ის [10] მიერ 2006 წელს შედგენილი ანგარიში[11] „აფხაზეთი დღეს" (N° 176 ევროპა, 15 სექტემბერი, 2006), რომლის მიხედვით 1990-იან წლებში რეგიონში ჩამოდიოდა ძალიან ცოტა ტურისტი, ხოლო **2005 წლისთვის** დამსვენებელთა რაოდენობამ **110 ათას ადამიანს** მიაღწია. მათივე შეფასებებით, **2005 წლის საკურორტო სეზონიდან მიღებული შემოსავალი შეადგინა 500 მლნ რუბლი (= 19,2 მლნ აშშ დოლარი),** პლუს ამასთან ერთად, დამატებით საბაჟო მოსაკრებლებიდან მიღებული შემოსავალი შეადგინა **90 მლნ რუბლი** (= **3,5 მლნ აშშ დოლარი**), ანუ **სულ 590 მლნ რუბლი** (= **22,7 მლნ აშშ დოლარი).**

გარდა ამისა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელისუფლებო წარმომადგენლების მხრიდან გაკეთებულ განცხადებებში მეტ-ნაკლებად რეალური მონაცემები ჟღერდება, რაც აიხსნება იმით, რომ კონკრეტული თანამდებობების პირებს, მათ შორის დარგის მინისტრს და მის მოადგილეს ეკისრება კონკრეტული პასუხისმგებლობა ამ სფეროში არსებულ მდგომარეობაზე იმ თვალსაზრისით, რომ ამხელა მასშტაბის ტურისტულ ნაკადებს უნდა მოჰყვებოდეს შესაბამისი შემოსავლების ნაკადები, რომელიც უნდა აისახოს „სახელმწიფო" ბიუჯეტში. სხვა შემთხვევაში, ადგილი აქვს ან მთავრობის უსუსურობას, აკრიფოს შესაბამისი გადასახადები, ან კორუფციულ გარიგებებს.

ამიტომ, ყურადსაღებია ტურიზმისა და კურორტების დე-ფაქტო მინისტრის ავთანდილ ღარწკიას განცხადება, რომელიც მან გააკეთა 2015 წლის 24 მარტს აფხაზეთის ტელე-რადიოკომპანიის გადაცემა "ვეჩერნი ექსპრეს"-ში მინისტრად დანიშვნის შემდეგ. მისი თქმით, **2014 წელს** ტურისტების რაოდენობა, რომლებიც საგზურებით ჩამოდიან დასასვენებლად და ჩერდებიან განსახლების ობიექტებში (სასტუმროებში, პანსიონატებსა და დასასვენებელ სახლებში), შეადგინა დაახლოებით **130 ათასი ადამიანი.** მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ საგადასახადო გადახდების მიხედვით ამ ტიპის ტურისტებისგან რეგიონმა **2014 წელს** მიიღო **185 მლნ რუბლი** (= **4,8 მლნ აშშ დოლარი).**

რაც შეეხება კერძო სექტორიდან გადასახადების აკრეფასთან დაკავშირებულ პრობლემებს - რაიონული ადმინისტრაციის ყველა ე.წ. ხელმძღვანელი აცხადებს, რომ რთული და თითქმის შეუძლებელია გადასახადების აკრეფა კერძო პირებისგან, რადგან ისინი მალავენ მათი ოთახების გაქირავების ფაქტებს და წარადგენენ დამსვენებლებს მათი ოჯახის ნათესავებად ან მეგობრებად,

რომლებიც ამ დროს მათ სტუმრობენ. აქვე უნდა აღინიშნოს გადასახადებისა და მოსაკრებლების დე-ფაქტო მინისტრის რაუფ ციმცბას 2015 წლის 26 მაისის განცხადება, რომლის თანახმად საბინაო ფონდი შეადგენს ოფიციალურად რეგისტრირებულ **32,754 საწოლ ადგილს,** მათ შორის კერძო სექტორის მიხედვით ოფიციალურად რეგისტრირებულია **18,389 საწოლი ადგილი** [12]. ამასთან, დე-ფაქტო პრეზიდენტთან **2015 წლის 11 აგვისტოს** თათბირზე რ. ციმცბას მიერ გაკეთებული განცხადებით, სეზონის დაწყებიდან 1 აგვისტომდე მინი-სასტუმროებიდან საგადასახადო შემოსავ-ლებმა შეადგინა დაახლოებით **9,4 მლნ რუბლი (= 153,922 აშშ დოლარი),** 2014 წლის 4 მლნ რუბლთან (= 103,600 აშშ დოლართან) შედარებით, ხოლო კერძო სექტორიდან - **4,3 მლნ რუბლი (= 70,411 აშშ დოლარი),** 2014 წლის 2,7 მლნ რუბლთან (= 69,930 აშშ დოლართან) შედარებით. დე-ფაქტო მინისტრმა აღნიშნა, რომ კერძო სექტორში გადასახადი დღე-ღამეში 1 საწოლ ადგილზე შეადგენს **400 რუბლს (= 7 აშშ დოლარს).**

ამ ფონზე, საინტერესოა ე.წ. მინისტრ ა. ღარწკიას მიერ გაკეთებული გათვლები, რომლის მიხედვით ტურისტები, რომლებიც ჩამოდიან საგზურებით, შეადგენენ ტურისტების საერთო რაოდენობის 20%-ს, მაგრამ იძლევიან ტურიზმიდან მიღებული საერთო შემოსავლების 80%-ს. მისი აზრით, აფხაზეთის ეკონომიკის მომავალი განვითარებისთვის უფრო მომგებიანი იქნება ისეთი ტურისტების მიღება, ვინც შემოდის საგზურებით განსახლების ობიექტებში დასასვენებლად. მისი თქმით, საერთოდ უმჯობესი იქნება, თუ აფხაზეთში, მაგალითად, დასასვენებლად ჩამოვა 800 ათასი ტურისტი 15 დღით, ვიდრე 1,5 მლნ ტურისტი - 5 დღიანი ვიზიტით, რომლებიც ორივე შემთხვევაში გადაიხდიან, მაგალითად, 1000-1000 რუბლს დღეში. პირველ შემთხვევაში საშემოსავლო ბრუნვა იქნება 12 მლრდ რუბლი, ხოლო მეორე შემთხვევაში - მხოლოდ 7,5 მლრდ რუბლი. ამასთან ერთად, ერთ-ერთ მორიგ ინტერვიუში [13] ა. ღარწკიამ განაცხადა, რომ **2014 წელს** აფხაზეთში იყო **14 ათასი საწოლი ადგილი** პანსიონატებში, დასასვენებელ სახლებსა და სასტუმროებში, ხოლო **დაახლოებით 30 ათასი საწოლი ადგილი** მოდიოდა კერძო სექტორზე. ამ ციფრებზე დაყრდნობით, მან ივარაუდა, თუ დავუშვებთ, რომ საკურორტო სეზონი ზაფხულის პერიოდში მოიცავს 100 დღეს, ხოლო ადამიანები ისვენებენ საშუალოდ 10 დღის განმავლობაში, გამოდის, რომ აფხაზეთს ერთი სეზონის ფარგლებში დაახლოებით 450 ათასი დამსვენებლის მიღება შეუძლია. ბოლოს კი, ა. ღარწკიამ ეს ციფრი ადვილად დაამრგვალა და ხელოვნურად გაზარდა 500 ათასამდე.

ჩვენი აზრით, ეს გათვლები და მოსაზრებები სავსებით ლოგიკურია, მაგრამ წარმოადგენს მხოლოდ სურვილს, ვარაუდს და თეორიულად მაქსიმალურ შესაძლებლობას, რომლის მისაღწევად რეალურ სინამდვილეში ბევრი ცვლილებები უნდა მოხდეს არა მხოლოდ კონკრეტულ დარგში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, არამედ სახელისუფლებო უწყებებში საერთოდ, განსაკუთრებით „სახელმწიფო“ მმართველობაში, და პირველ რიგში, კორუფციის საწინააღმდეგო ღონისძიებების რეალურად ჩატარების მიმართულებით, რაც ძალიან საეჭვოა არსებული დე-ფაქტო ხელისუფლების პირობებში ე.წ. „დამოუკიდებლობის“ 25 წლის თავზე.

რეალობასთან უფრო ახლოს არის ა. ღარწკიას შემდგომი ინტერვიუ, რომელიც მან მისცა „აფხაზიაინფორმ“ სააგენტოს (27 ივლისი, 2015), სადაც განაცხადა, რომ სპეციალისტების მიერ განხორციელებული კვლევის თანახმად, **ქვეყანას, რომლის მოსახლეობა შეადგენს 300,000 ადამიანს, ერთ სეზონში შეუძლია მოემსახუროს მხოლოდ 1 მლნ-მდე ტურისტს** (თუმცა აქაც მისი

მხრიდან მხოლოდ თეორიული ვარაუდი არის გამოთქმილი). ამასთან, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მოსახლეობის სეზონური ზრდის კვალობაზე, რამდენჯერმე იზრდება დატვირთვა კომუნალურ მომსახურებაზე, ენერგოსისტემასა და წყალმომარაგებაზე. მისი თქმით, თუ აფხაზეთში მართლაც ჩამოსულიყო ამდენი რაოდენობის (იგულისხმება 2-3 მლნ) ტურისტი, ისინი უკვე დიდი ხნის წინ ნაგავში დაიხრჩობდნენ და წყლისა და ელექტროენერგიის მომარაგების გარეშე დარჩებოდნენ [14].

დამატებით, გვინდა მოვიყვანოთ აფხაზეთის ე.წ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვებ-გვერდზე განთავსებული 2016 [15] და 2017 [16] წლების ტურისტულ სეზონებთან დაკავშირებული მონაცემები.

<u>2016 წელს</u> აფხაზეთში მუშაობდა **250 კომპაქტური განსახლების ობიექტი.** ძირითადად ეს ობიექტები აშენდა 2005-2016 წლებში. აფხაზეთის კურორტებისა და ტურიზმის ე.წ. სამინისტროს ინფორმაციით, ამ განსახლების ობიექტების სიმძლავრე **20 ათასზე მეტ საწოლ ადგილს** შეადგენს. ამავე სამინისტროს ვებ-გვერდეზე აღნიშნულია, რომ დაჯავშნის ყველაზე პოპულარულ booking.com საიტის მიხედვით, 2016 წლის ნოემბრისთვის აფხაზეთი სთავაზობდა დაახლოებით **170 განსახლების ობიექტს,** რომლის 60% წარმოადგენს კერძო სექტორს. კერძო სექტორში დაახლოებით **45 ათასი საწოლი ადგილია.** საწოლი ადგილების არსებული ფონდის გათვალის-წინებით, საკურორტო სეზონისთვის აფხაზეთში **შესაძლებელია 700 ათასზე მეტი ტურისტის განთავსება.** ამ თვეებში აფხაზეთს **ნახევარ მილიონზე მეტი** ადამიანი სტუმრობს და ადგილი აქვს ტურისტების რაოდენობის ზრდის ტენდენციას. ამავე დროს, **ტუროპერატორები აცხადებენ,** რომ ოფიციალური სტატისტიკა არ ასახავს რეალურ სურათს, რადგან ანგარიშობს საზღვრის გადაკვეთის თითოეულ შემთხვევას, რის გამოც მონაცემები გაზვიადებულია. მაგრამ ისინი ადასტურებენ, რომ 2015 წლის მაჩვენებლებთან შედარებით ტურების მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ორჯერ მაინც. ტუროპერატორ "ალეან"-ის ინფორმაციის მიხედვით, 2016 წლის ტურსაგზურები აფხაზეთში შეიძინა დაახლოებით 20-მა ათასმა ტურისტმა, რაც გასულ წელთან შედარებით 4,000-ზე მეტია. აფხაზეთის ხელისუფლებამ 2016 წლის ბოლო ტურისტული სეზონი შეაფასა როგორც საუკეთესო „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის ისტორიაში.

<u>2017 წლის</u> დასაწყისში აფხაზეთის **კურორტების დაჯავშნა** მიმდინარეობდა რუსეთის მოქალაქეების მიერ საკმარისად კარგად, მაგრამ თურქულ კურორტებზე საგზურების გაყიდვების დაწყებით აფხაზეთის კურორტების მიმართ მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდა. გარდა ამისა, ამ წელს ტურისტული ნაკადის შემცირებაზე გავლენა მოახდინეს ისეთმა ფაქტებმა, როგორიც იყო **გახანგრძლივებული ცუდი ამინდები, რეზონანსული საგანგებო სიტუაციები** (მაგალითად, ოკუპირებულ აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ პრიმორსკოესთან, სამხედრო საწყობის აფეთქება, რომელსაც 2 რუსი ტურისტის მსხვერპლი მოჰყვა, დაშავებულების რაოდენობამ 60-ს მიაღწია, აქედან 35 რუსეთის მოქალაქეა [17]), **მათ შორის კრიმინალური ხასიათის** (განსაკუთრებით აღსანიშნავია 2017 წლის 11 ივლისის სასტიკი შემთხვევა, როდესაც ოკუპირებული აფხაზეთის გუდაუთის რაიონის სოფელ პრიმორსკოეს ახლოს 2 ნიღბიანი ცეცხლსასროლი იარაღით და დანით შეიარაღებული პირი რუსი ტურისტების ოჯახს დაესხა თავს. თავდასხმის დროს წინააღმდეგობის გაწევისას, ერთ-ერთი ტურისტი დაიღუპა, მისი მეუღლე 2 მცირეწლოვანი ბავშვით, ასევე მეგობარი, ოჯახის დიასახლისი და 2 არასრულწლოვანი კრიმინალებმა გაიტაცეს [18]).

აღსანიშნავია ისიც, რომ ფიქსირდებოდა უამრავი შემთხვევა, როდესაც რუსეთის ტურისტები უარს ამბობდნენ უკვე დაჯავშნულ ტურებზე [19].

შედეგად, 2017 წლის შვიდი თვის განმავლობაში, 2016 წელთან შედარებით, აფხაზეთში ტურისტული ნაკადი 30%-ით შემცირდა. თუმცა, ამავდროულად, სტაბილური მოთხოვნა რჩებოდა „ტოპ“ ობიექტებზე, რომელთა დაჯავშნა ტრადიციულად იანვრიდან იწყება. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის იანვარ-თებერვალში შეინიშნებოდა საზაფხულო სეზონისთვის დაჯავშნების ზრდა, რომელიც 2016 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს 50%-ით წინ უსწრებდა. მაგრამ, მარტის დასაწყისიდან რეცესია დაიწყო. **ტუროპერატორების შეფასებით, 2017 წლის ზაფხულში აფხაზეთში ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნა 15-20%-ით შემცირდა (სხვადასხვა შეფასებებით მოთხოვნის შემცირების პროცენტი 35%-დან 50%-მდე მერყეობს** [20]). ამ წელს რუსეთის მოქალაქეების მხოლოდ 0.95%-ი დაინტერესებული იყო აფხაზეთში ტურებით. პოპულარობით რეგიონი იყო მე-14 ადგილზე. შედარებისთვის, 2016 წელს, აფხაზეთში ტურებით დაინტერესებული იყო რუსეთის მოქალაქეების 2.06%-ი (პოპულარობით აფხაზეთი იყო მე-11 ადგილზე). ამავე დროს, სასტუმროთა მეპატრონეები ასევე აღნიშნავენ მოთხოვნის შემცირების ტენდენციას, თუმცა ცოტა განსხვავებული მონაცემებით. მათი ცნობით, ადგილი ჰქონდა მოთხოვნის შემცირებას 10-12%-ით 2016 წელთან შედარებით.

ცალკე აღსანიშნავია აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის საავჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული არაკომერციული პარტნიორობა "აფხაზეთის ტურიზმის ალიანსი". ამ ორგანიზაციამ სეზონის განმავლობაში გამართა რამდენიმე მრგვალი მაგიდა და შეხვედრა, სადაც გაახმოვანა, რომ **2017 წელს აფხაზეთის სასტუმროების დატვირთვა დაეცა 30-დან 80%-მდე 2016 წელთან შედარებით,** 2017 წელს აფხაზეთში ყოველწლიური ტურისტების რაოდენობა აბსოლუტურ ციფრებში 1,7-ჯერ შემცირდა.

ამასთან, ტურისტების არჩევანი საერთო ჯამში არ შეცვლილა - უდიდესი მოთხოვნით სარგებლობს გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი და სოხუმი. (აღსანიშნავია, რომ ბევრად ნაკლები მოთხოვნით სარგებლობს ოჩამჩირის რაიონი, ხოლო ამ მხრივ რადიკალურად განსხვავებული, სავალალო მდგომარეობა არის ტყვარჩელის რაიონის მიმართ - ტყვარჩელს აფხაზეთში ხშირად „ქალაქ-აჩრდილად“ მოიხსენიებენ [21]).

ტურისტებს ურჩევნიათ გაჩერდნენ საშუალო და ეკონომიური დონის სასტუმროებში, სადაც ფასში ჩართულია კვებაც. ტურის ხანგრძლივობა მერყეობს 7-დან 14 დღემდე. ექსპერტების აზრით, აფხაზური მიმართულებით ტურისტების ძირითადი კონტინგენტი წარმოადგენს დაოჯახებულ წყვილებს ბავშვებთან და ახალგაზრდების ჯგუფებს. ტურისტული ნაკადის ნაწილს წარმოადგენს ერთდღიანი ტურისტები. როგორც წესი, ისინი ჩამოდიან ზღვაზე დასასვენებლად და ექსკურსიისთვის. სამკურნალო დასვენება აფხაზეთში არ არის იმდენად პოპულარული რუსეთის მოქალაქეებს შორის, რადგან, პირველ რიგში, შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისად განვითარებული, და, მეორე, არ არსებობს სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფდა რუსეთის ტურისტების საკურორტო მკურნალობას. აღსანიშნავია, რომ 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს აფხაზეთის ყველა ტურისტულმა ობიექტმა 15-20%-ით შეამცირა ფასები და შესთავაზა მაქსიმალურად ხელსაყრელი საცხოვრებელი პირობები. ტურისტული ბაზრის მონაწილეები იმედოვნებდნენ, რომ ახალი ფასების პოლიტიკა მათ საშუალებას მისცემდა გააუმჯობესონ

დაჯავშნის მაჩვენებელი სეზონის ბოლომდე, მაგრამ ყველა ეს ზომები იქნა მიღებული ძალიან გვიან. ასე რომ, 2017 წლის სეზონი წინა წელთან შედარებით იყო ბევრად უარესი.

2.2. „ერთდღიანი“ ტურისტების ნაკადები და მათგან მიღებული შემოსავლები

საინტერესოა თვით აფხაზი ექსპერტების სავარაუდო მოსაზრებები და საალბათო გაანგარიშებები „ერთდღიანი“ ტურისტების შესაძლო რაოდენობასა და, შესაბამისად, აქედან შესაძლო საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით.

2015 წლის საკურორტო სეზონის დროს მათ მიერ შესწავლილიქნა ტურისტების მიერ რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის გადაკვეთის ინტენსივობა.

გამოვლინდა, რომ ძირითადად საექსკურსიო ავტობუსები კვეთავენ საზღვარს **9:00 საათიდან 13:00 საათამდე.** მრავალმხრივი საავტომობილო გამშვებ პუნქტ "ადლერ"-ში ფუნქციონირებს **14 ჯიხური** ფეხით მოსიარულეების საპასპორტო კონტროლისთვის და **6 ჯიხური** - მანქანით მგზავრთა შესამოწმებლად.

თუ გამოვალთ იქიდან, რომ **1 ადამიანის დოკუმენტების შესამოწმებლად საჭიროა 1 წუთი,** ხოლო ყველა ჯიხური ერთდროულად მუშაობს, მაშინ **1 საათის განმავლობაში** საპასპორტო კონტროლს გაივლის **1200 ადამიანი** (შესაბამისად, 14 ჯიხური × 60 წუთზე = 840 ადამიანი და 6 ჯიხური × 60 წუთზე = 360 ადამიანი).

აქედან გამოდის, რომ **4 საათის განმავლობაში** შესაძლებელია **4,800 ტურისტის** გაშვება საზღვარზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საკურორტო **სეზონი 100, მაქსიმუმ 130 დღის განმავლობაში** გრძელდება, აფხაზეთის საზღვარს ამ პერიოდის განმავლობაში **480 ათასიდან 624 ათასამდე** ტურისტი გადაკვეთს [22].

აქვე გვინდა მოვიყვანოთ ტურიზმისა და კურორტების ე.წ. მინისტრის მოადგილის ასტამირ ახბას განცხადება, რომ **2014 წლის იანვრიდან ივლისამდე (6 თვის განმავლობაში)** რეგიონში შემოვიდა **1,500 საექსკურსიო ავტობუსი** (ანუ **დაახლოებით** 1,500×55 = **82,500 ადამიანი**) და **989 მიკროავტობუსი** (ანუ **დაახლოებით** 989×24 = **23,736 ადამიანი**), ხოლო **2015 წელს,** შესაბამისად - **3,012 საექსკურსიო ავტობუსი** (ანუ **დაახლოებით** 3,012×55 = **165,600 ადამიანი**) და **3,980 მიკროავტობუსი** (ანუ **დაახლოებით** 3,980×24 = **95,520 ადამიანი**).

გამოდის, რომ **2014 წლის იანვრიდან ივლისამდე** საზღვარი გადაკვეთა **106,236 ტურისტმა,** ხოლო **2015 წლის იმავე პერიოდის** განმავლობაში - **261,120 ტურისტმა.**

აქედან ნათლად ჩანს, რომ ლაპარაკი თუნდაც 1 მილიონ ტურისტზე (იგულისხმება ყველა კატეგორიის ტურისტი ერთად) სრული აბსურდია და, უბრალოდ, ტყუილს წარმოადგენს.

ამის გათვალისწინებით განვიხილოთ აფხაზი ექსპერტების მიერ განხორციელებული სავარაუდო გათვლები ტურისტების მიერ ახალი ათონის მღვიმესა და რიწის პარკის მონახულებასთან დაკავშირებით და შევადაროთ ჰიპოთეტური მონაცემები იმ მონაცემებს, რომელსაც ოფიციალურად ახმოვანებენ სახელისუფლებო წარმომადგენლები.

- **ახალი ათონის მღვიმე**

წარმოვიდგინოთ, რომ მღვიმეს მატარებელში მგზავრობა ერთდროულად შეუძლია **100 ტურისტს**; მატარებელი გადის ყოველ **20 წუთს,** ანუ მაქსიმუმ ახორციელებს **30 რეისს დღეში,** ე.ი. მღვიმე მუშაობს **10 საათს დღეში.**

გამოდის, რომ სულ მატარებლით მგზავრობს 3 ათასი ადამიანი დღეში.

მაშინაც კი, თუ საკურორტო **სეზონი 130 დღემდე გაგრძელდება,** მივიღებთ **390 ათას ადამიანს.**

იმ შემთხვევაში, თუ ბილეთის ღირებულება ახალი ათონის მღვიმეს მოსანახულებლად შეადგენს **500 რუბლს,** ტურისტული კომპლექსი მიიღებს არაუმეტეს **200 მლნ რუბლისა.** აღსანიშნავია, რომ ყველა გაყიდული ბილეთიდან **გუდაუთის რაიონის ბიუჯეტში შემოდის 50 რუბლი** და **იგივე თანხა - ქალაქ ახალი ათონის ბიუჯეტში.** და თუ ამ თანხას დავამატებთ ტურისტების მიერ მღვიმეს მონახულებას წლის დანარჩენი პერიოდის განმავლობაში, შემოსავალი მაინც არ აღემატება **250 მლნ რუბლს** [23].

იმის გათვალისწინებით, რომ მოყვანილი ციფრები წარმოადგენს მაქსიმალურად შესაძლებელ მონაცემებს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტურიზმისა და კურორტების ე.წ. სამინისტროს ინფორმაციით, **2015 წლის 1 აგვისტოსთვის,** ახალი ათონის მღვიმე მოინახულა დაახლოებით **200 ათასმა ადამიანმა** [24]. აქვე აღსანიშნავია აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას განცხადება, რომელიც მან ე.წ. მინისტრთა კაბინეტის **2015 წლის 29 ივლისის** გაფართოებულ სხდომაზე [25] გააკეთა. მისი თქმით, ახალი ათონის მღვიმესთან დაკავშირებით **2015 წლის დასაწყისიდან 1 ივლისამდე** ბიუჯეტს გადასახადების სახით გადაეცა **11 მლნ-ზე მეტი რუბლი** (= **180,121 აშშ დოლარზე მეტი**), რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდის მაჩვენებელს 4-ჯერ აღემატება.

რაც შეეხება **2016 წელს** - ტურიზმისა და კურორტების ე.წ. მინისტრის მოადგილის ასტამირ ახბას თქმით, ამ წელს ახალი ათონის მღვიმეს ეწვია **101,276 ადამიანი,** გაიყიდა **48,929 მლნ რუბლის** (= **740,450 აშშ დოლარის**) ბილეთი, მაშინ როდესაც **2015 წელს** მღვიმე მოინახულა **99,623 ექსკურსანტმა** და ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული თანხა შეადგინა **48,149 მლნ რუბლი** (= **788,423 აშშ დოლარი**) [26].

აქედან ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მონაცემები თავსდება ჰიპოთეტურად მიღებული მონაცემების ფარგლებში, სახელისუფლებო წარმომადგენლების მიერ გამოცხადებული მდგომარეობა მაინც ბადებს ეჭვს. აქ აღსანიშნავია, რომ ტურიზმისა და კურორტების ე.წ. სამინისტრო სხვადასხვა დროს სხვადასხვა მონაცემებს ავრცელებდა ახალი ათონის მღვიმეს მოსანახულებლად ჩამოსული ტურისტების რაოდენობასთან დაკავშირებით - თუ უფრო ადრინდელ განცხადებებში საუბრობდა 200 ათას ადამიანზე 2015 წლის მიხედვით, მისი უფრო გვიანდელი მონაცემებით - აღნიშნულ წელს მღვიმე მოინახულა 99,623 ადამიანმა.

ჩვენი აზრით, ასეთი განსხვავებები მონაცემებში ან გადასახადების დამალვას უკავშირდება, ან იმას, რომ თავიდან გაზვიადებული ციფრების მოყვანა ემსახურებოდა აფხაზეთში ტურისტული სეზონის გაპიარებას, ან კიდევ ორივე მომენტს ერთდროულად ჰქონდა ადგილი.

- **რიწის რელიკტური „ეროვნული“ პარკი**

რიწის პარკის მიმართულებით ადამიანების უმეტესობა მიემგზავრება ან რუსულ-აფხაზეთის საზღვრიდან, ან ქ. გაგრიდან.

აფხაზეთში შემოდის **55-ადგილიანი საექსკურსიო ავტობუსები.**

აფხაზეთში ერთი დღის განმავლობაში ვერ შემოვა **100-ზე მეტი ავტობუსი,** რაც, მაქსიმუმ, **5,500 ადამიანს შეადგენს.** გამოდის, რომ 130-დღიანი საკურორტო სეზონის დროს აფხაზეთში ამ გზით შემოდის **715,000 ადამიანი.**

რიწის პარკის **მონახულების ბილეთი 350 რუბლი** ღირს.

აქედან, ტურისტების ეს რაოდენობა მისცემს პარკს **250,250,000 რუბლის** შემოსავალს.

შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება, რომ აფხაზეთში არა მხოლოდ ერთდღიანი ექსკურსიით ჩამოდიან, არამედ უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც. მაგრამ ამ გარემოებების გათვალის-წინებითაც, რიწის პარკისა და ახალი ათონის მღვიმეს სტუმრობით ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული თანხა **არასდროს მიაღწევს 1 მლრდ რუბლს** [27].

ტურიზმისა და კურორტების ე.წ. სამინისტროს ინფორმაციით, **2015 წლის 1 აგვისტოსთვის,** რიწის რელიქტური ეროვნული პარკი მოინახულა დაახლოებით **300 ათასმა ადამიანმა** [28]. აქვე აღსანიშნავია აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას განცხადება, რომელიც მან ე.წ. მინისტრთა კაბინეტის 2015 წლის 29 ივლისის გაფართოებულ სხდომაზე [29] გააკეთა. მისი თქმით, რიწის ეროვნულმა პარკმა **2015 წლის დასაწყისიდან 1 ივლისამდე** ბიუჯეტში გადარიცხა **4 მლნ რუბლი** (= **65,498 აშშ დოლარი**), რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8-ჯერ მეტია.

ტურიზმისა და კურორტების ე.წ. მინისტრის მოადგილის ასტამირ ახბას თქმით, **2016 წლის დასაწყისიდან ოქტომბრის ბოლომდე** რიწის რელიქტურ ეროვნულ პარკს **139,119 ადამიანი** ეწვია. გაყიდული ბილეთების თანხა კი შეადგინა **46,612 მლნ რუბლი** (= **705,387 აშშ დოლარი**). შედარებისთვის, **2015 წლის განმავლობაში** რიწის ტბას **143,985 ადამიანი** ეწვია, ხოლო ბილეთის გაყიდვის თანხა შეადგინა **48,21 მლნ რუბლი** (= **789,422 აშშ დოლარი**) [30].

აქაც ნათელია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ციფრები თავსდება ჰიპოთეტურად მიღებული მონაცემების ფარგლებში მდგომარეობა მაინც ბადებს ეჭვს. ისევე როგორც ახალი ათონის მღვიმეს მონახულებასთან დაკავშირებით, ტურიზმისა და კურორტების ე.წ. სამინისტრო სხვადასხვა დროს სხვადასხვა მონაცემებს ავრცელებდა რიწის პარკის მოსანახულებლად ჩამოსული ტურისტების რაოდენობის შესახებ - თუ უფრო ადრინდელ განცხადებებში საუბრობდა **300 ათას ადამიანზე** 2015 წლის მიხედვით, მისი უფრო გვიანდელი მონაცემებით - აღნიშნულ წელს რიწის პარკი მოინახულა **143,985 ადამიანმა.**

ჩვენი აზრით, აქაც ასეთი განსხვავებები მონაცემებში ან გადასახადების დამალვას უკავშირდება, ან იმას, რომ თავიდან გაზვიადებული ციფრების მოყვანა ემსახურებოდა აფხაზეთში ტურისტული სეზონის გაპიარებას, ან კიდევ - ორივე მომენტს ჰქონდა ადგილი.

2.3. <u>ტურისტული განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები</u>

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ე.წ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვებ-გვერდის მონაცემებით, **<u>2016 წლის</u> საკურორტო სეზონმა** გამოავლინა „განვითარების“ ისეთი შემაფერხებელი ფაქტორები და პრობლემები, როგორიცაა: თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზის არარსებობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაცვეთის მაღალი დონე, თანამედროვე სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის არარსებობა, ტურისტულ ბაზარზე აფხაზეთის საინფორმაციო და სარეკლამო წინწაწევის სისტემის არასრულყოფილი მდგომარეობა, მომსახურების დაბალი ხარისხი, კვალიფიციური კადრების დეფიციტი და, ხშირ შემთხვევაში, მათი არარსებობა, მომსახურების მაღალ ფასსა და დაბალ ხარისხს შირის არსებული შეუსაბამობა და ა.შ.

იმავე ვებ-გვერდზე **<u>2017 წლის</u> საკურორტო სეზონის** შემაფერხებელ ფაქტორებად წარდგენილია: მაღალი ფასები, რომელიც არაადეკვატურია მომსახურების დაბალი ხარისხისა და დონის მიმართ (ამასთან, ხშირ შემთხვევაში ტურისტები უკმაყოფილო არიან უხეში მოპყრობით); ანტისანიტარია ქალაქის ქუჩებზე, ზღვამდე მიმავალ გზებსა და ბილიკებზე; კრიმინოგენური სიტუაცია (წვრილი ქურდობა, ძარცვა და თაღლითობა ტურისტების მიმართ იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ არსებულ მდგომარეობას აფხაზეთის ე.წ. სამართალდამცავი ორგანოები საკუთარი ძალებით უკვე ვერ უმკლავდებიან, უსაფრთხოების მიზნით ტურისტებს შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართავენ და ამით სრულიად უსუსურობას ავლენენ [31]) და ა.შ.

ამასთან, აფხაზეთის ე.წ. სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული „ოტელიერების გილდიის“ პრეზიდენტ იგორ ჟიგუნის აზრით, ტურიზმის სფეროში არსებობს პრობლემების რამდენიმე ძირითადი მიმართულება, მათ შორის პოტენციური ინვესტორებისთვის არსებული სისტემური პრობლემები (უძრავი ქონების კადასტრის არარსებობა; ინვესტიციების დაცვის სუსტი კანონმდებლობა და კანონის აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები; ფისკალური ტვირთის ზრდა და ა.შ.) და საკურორტო ინფრასტრუქტურის ლოკალური სირთულეები (უამრავი მიტოვებული და დანგრეული შენობები; ზღვის სანაპიროს არარსებობა; საკანალიზაციო წყლების ჩაშვება პრაქტიკულად პლიაჟებზე; ხშირი შეფერხებებით ელექტროენერგიის მიწოდება და წყალმომარაგება; ხშირია კუჭ-ნაწლავის ინფექციების ეპიდემიები, გადატვირთული და ძველი, გაურემონტებული საავადმყოფოების ფონზე და ა.შ.).

გარდა ამისა, საინტერესოა კერძო სექტორში არსებული თვით ტურისტებისა და დამსვენებლების მიერ გაკეთებული უამრავი ვიდეო-ინტერვიუ, კომენტარი და მიმოხილვა ოკუპირებულ აფხაზეთში დასვენებასთან დაკავშირებით, რომელიც ვრცელდება ინტერნეტით, პოპულარულ ვიდეო-ჰოსტინგებსა და სხვადასხვა სოციალურ ქსელში. ამ მონაცემების მიხედვით, ყველა აღნიშნავს დაბალხარისხიან მომსახურებას, თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობას, ანტისანიტარიას, დიზენტერიის ხშირ შემთხვევებს (განსაკუთრებით პატარა ბავშვებში), კრიმინოგენური მდგომარეობის (განსაკუთრებით, ქურდობისა და თაღლითობის) მაღალ დონეს და ა.შ. [32] აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ უმეტესწილად აფხაზეთში დასასვენებლად ჩამოდიან რუსეთის მოქალაქეები [33].

და ბოლოს, გვინდა აგრეთვე აღვნიშნოთ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სერგეი ბელიკოვის განცხადება, რომლის

მიხედვით **უცხოელი ინვესტორები აფხაზეთში არ აბანდებენ ფულს სამი ძირითადი მიზეზის გამო. პირველ რიგში,** რეგიონში არ არსებობს სამართლებრივი სტაბილურობა და ეფექტიანი მექანიზმები კერძო საკუთრების მოპოვებისა და დაცვისათვის (მაგალითად, შეუძლებელია ღია აუქციონზე გარკვეული მიტოვებული სანატორიუმის ყიდვა; შეუძლებელია მშენებლობისთვის არა მხოლოდ მიწის ნაკვეთის, არამედ გარკვეული შეზღუდვებით საცხოვრებელი ფართის შეძენაც კი). **მეორე,** რეგიონში არის დამთრგუნველი კრიმინოგენური ვითარება, ისევე როგორც არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ გარკვეულ მომენტში ბიზნესი არ იქნება ძალით წართმეული. **და მესამე,** ინვესტორებს აწუხებს, რომ მეგობრებისა და ძვირფასი სტუმრების მიმართ სტუმართმოყვარეობისა და თბილი დამოკიდებულების მიუხედავად, მოსახლეობის ნაწილს არ ახასიათებს მისწრაფება, გააუმჯობესონ და სრულყონ თავისი პროფესიული უნარები და ოსტატობა დამსვენებლების მომსახურების სფეროში [34].

3. სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები

ოკუპირებული აფხაზეთის სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია ორი ტრადიციული ქვედარგით, როგორიცაა მემცენარეობა და მეცხოველეობა. თუმცა აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის სახეობების სიმცირე და, შესაბამისად, მათი წარმოების მცირე მასშტაბები.

პირველის ფარგლებში აფხაზეთში ძირითადად იწარმოება სიმინდი, თამბაქო, ჩაი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და კენკრა, ციტრუსები, ყურძენი, ფეიხოა, ხურმა, ხოლო მეორის - ხორცი, რძე, კვერცხი, თაფლი (იხ. დანართი 2-ის **ცხრილები ა, ბ, გ, დ**).

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ძალიან მცირე მასშტაბების მიუხედავად, მთავარი პრობლემა მაინც მათი რეალიზაციაა (იხ. დანართი 2-ის **ცხრილები გ, დ, ე**).

ამასთან ერთად, გვინდა აღვნიშნოთ გაზეთ „რესპუბლიკა აფხაზია“-ს 2014 წლის 18 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული სტატია, რომლის მიხედვით სოფლის მეურნეობის პრობლემებს შორის არის ბევრი მრავალფეროვანი ელემენტი, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის რეალიზაცია, მისი იმპორტი, ერთიანი საინფორმაციო-ტექნიკური ბაზის არარსებობა და სხვ. დღეს ამ სფეროში მოქმედი ყველა ადამიანი არის თავისთვის, დარჩენილია საკუთარი ძალების იმედად, თვითონ ცდილობს მოაგვაროს თავისი პრობლემები: თვითონ რგავს, თვითონ უვლის და ზრდის, თვითონ ეძებს ბაზარს, თვითონ ხარჯავს ფულს აგროქიმიკატების შესაძენად და ა.შ. 2011 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, აფხაზეთის სოფლის საშინაო მეურნეობების რაოდენობა შეადგინა 33,232 ერთეული, მაგრამ არავინ იცის რამდენია იმ შუამავლების რიცხვი, რომლებმაც შეავსეს სოხუმის ბაზარი და ამით აიძილეს გლეხები დაკავდნენ ვაჭრობით პირდაპირ ღია ცის ქვეშ, ბაზართან მიმდებარე ტროტუარებზე [35].

ოკუპირებული აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სფეროში ცალკე უნდა გამოიყოს მემცენარეობის ბოლო წლებში ტრადიციულად ყველაზე მაღალშემოსავლიანი ორი ქვედარგი: ციტრუსების (კერძოდ, მანდარინის) და ხილ-კენკროვნების (კერძოდ, თხილის) წარმოება.

თუმცა დღეისთვის ამ სფეროებში იქმნება ძალზე დრამატული და სავალალო მდგომარეობა.

2017 წლის 20 დეკემბერს რ. ხაჯიმბას მიერ ე.წ. პარლამენტარების წინაშე გაკეთებული განცხადების მიხედვით, სოფლის მეურნეობაში შეიქმნა მძიმე მდგომარეობა - კოლოსალური ზარალი მიიღეს როგორც ცალკეულმა ს/მ მწარმოებლებმა, ისე მთლიანად დარგმა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მავნებლებისაგან. თუ 2016 წელს განადგურდა თხილის მოსავლის 60%, 2017 წელს - 70%-ზე მეტი. თითქმის 50%-ით შემცირდა ციტრუსების მოსავლია-ნობა...

აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის მონაცემებით, 2017 წლის 20 დეკემბრისთვის რეგიონიდან გატანილია 3,900 ტონა მანდარინი, მაშინ როდესაც 2016 წელს ამავე პერიოდისთვის ექსპორტირებული იყო 9,400 ტონა. თუ 2016 წელს ექსპორტირებული იყო 1,300 ტონა თხილი, 2017 წელს - მხოლოდ 237 ტონა. ამ თვალსაზრისით დაბალი მაჩვენებლებია ხილის სხვა სახეობების მიხედვით, მაგალითად: ფეიხოას ექსპორტმა 2017 წელს შეადგინა 77 ტონა (2016 წლის 215 ტონასთან შედარებით), ხოლო 2017 წლის ხურმას ექსპორტმა - 109 ტონა (2016 წლის 256 ტონასთან შედარებით) [36].

2017 წლის 20 დეკემბერს რ. ხაჯიმბას მიერ ე.წ. პარლამენტარების წინაშე გაკეთებული განცხადების მიხედვით, 2016 წელს შესაძლებელი გახდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე საგაზაფ-ხულო ხვნის ორგანიზება, ცალკეულ ს/მ მწარმოებლებისთვის მცირე კრედიტების გამოყოფა, რიგ სოფლებში წყალსადენის გაყვანა და გზების რემონტი, მაგრამ ამ მოცულობით გამოყოფილი დახმარებები არ არის საკმარისი სოფლის სრული განვითარებისთვის. მისი თქმით, რუსეთის ფედერაციასთან მიღწეული შეთანხმებების შედეგად, 2018 წელს დამატებით გამოყოფილი იქნება 200 მლნ რუბლი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად, რის გამო უახლოეს წლებში მიღწეული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის წარმოების თვისებრივი ზრდა. ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ ამჟამად დადებითი დინამიკა შეინიშნება ბოსტნეულის მოსავალის სფეროში აგრონარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. მისი თქმით აფხაზეთში არსებობს ბოსტნეულის 4 მსხვილი სასათბურე მეურნეობა, კიდევ ერთი ამოქმედების ეტაპზეა. ამ საწარმოთა წარმოების საერთო მოცულობამ წელიწადში 8 ათასი ტონა ბოსტნეული პროდუქტი შეადგინა (იხ. **დანართი 2-ის ცხრილი ბ**).

ამ განცხადების ფონზე საინტერესოა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ინსტიტუტის სამეც-ნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სერგეი ბელიკოვის შეხედულებები შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, 2017 წლის შეჯამებისას ბევრი აფხაზი ჩინოვნიკი უჩივის მრავალ "ობიექტურ" მარცხს. პირველ რიგში, მიმდინარე წელი მოსავლიანი არ აღმოჩნდა ციტრუსებისათვის. მეორე, იგი უაღრესად წარუმატებელი აღმოჩნდა ტურიზმის ინდუსტრიისთვის. მესამე, მკვეთრად შემცირდა თევზჭერის (კერძოდ, შავი ზღვის ქაფშიას ჭერის) მოცულობა. მეოთხე, თხილის პლანტაციებს დაესია აზიურმა ფუაროსანამ. არსებობს ასევე მეხუთე, მეექვსე... მაგრამ ს. ბელიკოვის მოსაზრებით, ეს და სხვა ფორს-მაჟორული სიტუაციები არ არის შემთხვევითი. მას მაგალითად მოჰყავს ციტრუსების მოსავლიანობის მაჩვენებლის ბოლო წლების დინამიკა - აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ე.წ. სამინისტროს მთავარი აგრონომის ტევაზ აჩბას თქმით, 2017 წელს მოსალოდნელია ციტრუსის დაახლოებით 16 ათას ტონამდე მოსავალი, მაშინ როდესაც 2016 წელს ეს მაჩვენებელი შეადგინა დაახლოებით 30 ათასი ტონა, 2014 წელს - თითქმის 40 ათასი ტონა, ხოლო 2011 წელს - თითქმის 55 ათასი ტონა. ს. ბელიკოვი ხაზს უსვამს ტ. აჩბას შეხედულებას, რომ ამ ნეგატიური ტენდენციის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ხეები

ბიოლოგიურად მოძველებულია. ნარგავები საბჭოთა პერიოდისაა და საჭიროებს განახლებას, ბევრი ხე დაავადებულია და სწორედ ეს იწვევს მოსავლის მკვეთრ შემცირებას და თუ ამ სექტორში უახლოეს მომავალში არ ინვესტირდა ფული ახალი ნარგავებისათვის და აგროტექნიკური ღონისძიებებისთვის საბჭოური პერიოდის ინვესტიციების მასშტაბების მსგავსად, მაშინ მოსავ-ლიანობის მკვეთრი შემცირების ტენდენცია გაგრძელდება [37]. ამ ფონზე ძალზე მნიშვნელოვანია ე.წ. აზიური ფაროსანას მხრიდან საფრთხე, რომელიც სრული განადგურებით ემუქრება ციტრუსებს და არა მხოლოდ ამ დარგს [38].

ერთი სიტყვით, ტურისტული დარგის მსგავსად სერიოზული პრობლემებია ოკუპირებული აფხაზეთის სოფლის მეურნეობაშიც. აფხაზეთში დეგრადაციას განიცდის ისეთი სასოფლო-სამეურნეო ქვედარგი, როგორიცაა მეციტრუსეობა, ხოლო ისეთი ქვედარგები, როგორიცაა მეთამბაქეობა, მეჩაიეობა და ა.შ. თითქმის აღარ არსებობს (იხ. **დანართი 2-ის ცხრილი ბ**).

ამასთან ერთად, გვინდა ხაზი გავუსვათ კორუფციის მასშტაბებს, რომელიც არსებობს ოკუპირებული აფხაზეთის სოფლის მეურნეობაშიც.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ე.წ. სოფლის მეურნეობის მინისტრის რაფიკ ოტირბას მიერ გაზეთ "რესპუბლიკა აფხაზიას"-თვის მიცემული 2014 წლის 2 დეკემბრის ინტერვიუ, რომელიც ეხებოდა რუსეთის ფინანსური დახმარებებით სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად პროექ-ტების რეალიზაციის „შუალედურ შედეგებს“. უპირველეს ყოვლისა, საკითხი ეხებოდა მეცნიე-რულად დასაბუთებულ, ვაშლის, სუბტროპიკული კულტურებისა და კაკლის დარგვის სასოფლო-სამეურნეო პროექტს, რომელიც განხორციელდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

რაფიკ ოტირბას თქმით, 2011 წლიდან 2014 წლამდე ამ პროექტის მიხედვით აითვისა მიწის 1,345 ჰა და დაიხარჯა 517 მლნ რუბლი. აქედან, დარჩა 103 მლნ რუბლის ვალი გლეხების (პროექტის მონაწილეების) მიმართ. დამოუკიდებელ ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა სავალალო მდგომარეობა. ამ პროექტის განხორციელებისას ფინანსური დარღვევების შემთხვევები გადაეცა ე.წ. რესპუბლიკურ პროკურატურას. ე.წ. მინისტრი აღნიშნავს, რომ ბევრი პროექტი ფინანსდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მხოლოდ 2014 წელს 22 მლნ-ზე მეტი რუბლი (= 569,800 აშშ დოლარზე მეტი) დაიხარჯა ამ პროექტების რეალიზაციაზე, მაგრამ რეალურად შედეგი არ დადგა. ე.წ. მინისტრის თქმით, უამრავი მილიონი „ჩამოიკიდა“ ჰაერში. მისი აზრით, საჭირო იყო იმპორტირებული კულტურების საგულდაგულოდ შესწავლა, რამდენიმე წლის განმავლობაში ჯიშების ცდის სახელმწიფო უბნებზე და ფენოლოგიური დაკვირვების განხორციელება. მაშინ როდესაც საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ნერგების დარგვა ხორციელდება მაშინვე, ყოველგვარი შესწავლისა და ადაპტაციის გარეშე. ვაშლის ხეების დარგვა ერთ ჰექტარზე ჯდებოდა 900 ათასი რუბლი. ეს ხეები უნდა დამუშავებულიყო პესტიციდებით დაავადებებისა და მავნებლებისგან დაცვის მიზნით 10-ჯერ მთელი წლის განმავლობაში. მათ სწრაფად უნდა მოესხათ ნაყოფი და ამით სწრაფად დაეფარათ გაღებული ხარჯები, რადგან მათი საექსპლუატაციო სიცოცხლის ვადა მხოლოდ 12-დან 16 წლამდე შეადგენდა. მაგრამ ეს არ მოხდა. ამასთან, დარგეს იმპორტირებული "რქაწითელი"-ს ჯიშის ვენახები. მხოლოდ ნერგების შეძენაზე დაიხარჯა 41 მლნ რუბლზე მეტი რუსული საინვესტიციო ფონდიდან, ხოლო 10 მლნ რუბლი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მაგრამ ამ ჯიშის დარგვა არ იყო მიზანშეწონილი ჩვენი ზონის პირობებისთვის. შედეგად, ოჩამჩირის რაიონში ვენახების 144 ჰა ცუდ მდგომარეობაშია, ხოლო

ვენახების 55 ჰა, რომელზეც დაიხარჯა 11 მლნ რუბლი, საერთოდ გახმა. ე.წ. მინისტრის თქმით, მილიონები ტყუილად „წავიდა მიწაში“. არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე მანდარინების დანერგვასთან დაკავშირებული მდომარეობა. მათი ნახევარი გამხმარია. მსგავსი პროექტების რეალიზაციის საკითხები წყდებოდა კულუარებში, რამდენიმე ადამიანის მიერ..., - განაცხადა ე.წ. მინისტრმა [39].

4. დასკვნები

ოკუპირებული აფხაზეთის ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობასთან დაკავშირებული გარკვეული ფაქტებისა და მონაცემების გაშუქებით და განხილვით შეიძლება დავაფიქსიროთ გარკვეული ტენდენციები და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები:

1. რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობისთვის სწორედ ამ ორ დარგში სეზონურად წარმოიქმნება თვითდასაქმების შესაძლებლობები, რაც წარმოადგენს მათთვის შემოსავლების ძირითად და, ხშირ შემთხვევაში, ერთადერთ წყაროს;

2. შედარებით რეალური მდგომარეობის დანახვა და სათანადო დასკვნების გამოტანა შესაძლებელია ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სამთავრობო უწყებებისა და ორგანოების შეხვედრებიდან, თათბირებისა და სხდომებიდან, რომელიც ინტერნეტსივრცეში მოიპოვება (სადაც „ჩინოვნიკებს“ რეალურ პრობლემებზე ღიად საუბარი უწევთ და, შესაბამისად, კონკრეტულ პირებზე შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება), ვიდრე გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების კრებულებიდან ან ე.წ. სახელმწიფო მოხელეების პოპულისტური განცხადებებიდან;

3. დე-ფაქტო ხელისუფლების ტურიზმთან დაკავშირებული საჯარო განცხადებები, რომლის მიხედვით ეს დარგი წარმოადგენს ეკონომიკის „ლოკომოტივს“, აშკარად არის უფრო სურვილი და ოცნება, ვიდრე რეალური სინამდვილე;

4. ტურიზმის სფეროს „განვითარებას“ თან ახლავს ისეთი სახის პრობლემები, როგორიცაა დაბალხარისხიანი მომსახურება, თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობა, ანტისანიტარია, მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობა ა.შ

5. ცნობილია, რომ ომის შემდეგ (განსაკუთრებით 90-აინი წლების ბოლომდე) ოკუპირებულ აფხაზეთში სოფლის მეურნეობა მოსახლეობისთვის გადარჩენის საშუალებას წარმოადგენდა, დღეისთვის ეს მდგომარეობა ძირითად ნაწილში იგივე დონეზე რჩება;

6. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ძალიან პატარა მასშტაბების მიუხედავად, მთავარი პრობლემა მაინც რეალიზაციაა;

7. აფხაზეთში დეგრადაციას განიცდის სოფლის მეურნეობის ისეთი ქვედარგი, როგორიცაა მეციტრუსეობა, ხოლო ისეთი ქვედარგები, როგორიცაა მეთამბაქეობა, მეჩაიეობა და ა.შ. თითქმის აღარ არსებობს;

8. აღსანიშნავია კორუფციის დიდი მასშტაბები, რომელიც არსებობს ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკის ყველა სფეროში, მათ შორის სოფლის მეურნეობაშიც;

9. სოფლის მეურნეობაში რეალურად არავითარი თანამედროვე ტექნოლოგიები არ ინერგება და არც შესაბამისი პროგრამები არ ხორციელდება.

გამოყენებული წყაროები:

1. http://kavpolit.com/articles/abhazija_idet_na_turisticheskij_rekord-16775/ - 20 мая 2015 - Абхазия идет на туристический рекорд;
2. http://www.interfax.ru/world/459779 - 12.08.2015;
3. http://новости-мира.ru-an.info/новости/число-туристов-в-абхазии-побило-рекорды-советских-времён/;
4. http://www.tppra.org/ru/publikacii/analiz-turisticheskoy-otrasli-respubliki-abhaziya-na-2016-g;
5. Сухум 13 августа. Абхазия-Информ. http://abkhazinform.com/;
6. Н.Е. Бушина «Курорты в региональном комплексе Абхазии», Сухуми, «АЛАШАРА», 1984 (გვ. 73, ცხრილი 18);
7. Сухум 13 августа. Абхазия-Информ. http://abkhazinform.com/;
8. http://www.tppra.org/ru/publikacii/analiz-turisticheskoy-otrasli-respubliki-abhaziya-na-2016-g;
9. https://ria.ru/tourism/20170806/1499833511.html - 06.08.2017 - Турпоток в Абхазию упал на 30% по сравнению с прошлым годом;
10. http://old.crisisgroup.org/ - Crisis Group (კრიზისების პრევენციის საერთაშორისო ჯგუფი) - არაკომერციული, დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობაშია 100-ზე მეტი თანამშრომელი მსოფლიოს 5 კონტინენტზე. ეს ჯგუფი შეიქმნა საერთაშორისო თანამეგობრობის პროგნოზირების, გაგებისა და მოქმედების უნარიანობის გასაძლიერებლად კონფლიქტების პრევენციისა და შეჩერების მიზნით;
11. აღნიშნული ანგარიში შედგენილია ძირითადად აფხაზეთის დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრთან, ე.წ. საგარეო საქმეთა და ე.წ. ეკონომიკის დე-ფაქტო მინისტრებთან ამ ჯგუფის მიერ გაკეთებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით;
12. Sputnik Абхазия: http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20150526/1014765653.html#ixzz3jv1MSq00. 26.08.2015;
13. 2015 წლის 16 ივლისს ჟურნალისტ ვ. შარიასთვის მიცემული ინტერვიუი;
14. «Abkhazinform.com», 27.07.2015 г.;
15. http://www.tppra.org/ru/publikacii/analiz-turisticheskoy-otrasli-respubliki-abhaziya-na-2016-g;
16. http://www.tppra.org/ru/publikacii/analiz-turisticheskoy-otrasli-respubliki-abhaziya-za-2017-god;
17. http://www.tvpirveli.ge/?id=1360 - ოკუპირებულ აფხაზეთში სამხედრო ბაზის აფეთქებას მსხვერპლი მოყვა;
18. https://pia.ge/post/136581-afxazetsi-rusi-turistis-mkvlelobistvis-dakavebulma-danasauli-ariara - 17 ივლისი, 2017 წელი - აფხაზეთში რუსი ტურისტის მკვლელობისთვის დაკავებულმა დანაშაული აღიარა;
19. https://ria.ru/tourism/20170805/1499829219.html - 05.08.2017 - Абхазские турфирмы жалуются на отказы туристов от поездок;
20. http://maks-portal.ru/obshchestvo-sochi/rossiyskie-turisty-massovo-otkazyvayutsya-ot-poezdok-v-abhaziyu - 06 августа 2017 - Российские туристы массово отказываются от поездок в Абхазию;
21. https://sputnik-abkhazia.ru/analytics/20150409/1014366056.html - 09.04.2015 - О перспективах развития туристической отрасли в Абхазии размышляет секретарь Общественной палаты Нателла Акаба; http://kalugafoto.net/goroda-i-strany/2016-zimnyaya-abkhaziya-i-sochi/1470-sukhum-ochamchira-tkvarcheli-osennyaya-abkhaziya - Опубликовано: 23 ноября 2016 - Сухум - Очамчира - Ткварчели. Осенняя Абхазия; http://guide.travel.ru/abhazia/ochamchira/tkuarchal.html - Достопримечательность Абхазии: город-призрак Ткуарчал (Ткварчели);
22. «Abkhazinform.com», 27.07.2015 г.;
23. «Abkhazinform.com», 27.07.2015 г.;

24. Сухум 13 августа. Абхазия-Информ. http://abkhazinform.com/;
25. Прессслужба де-факто Президента Абхазии, 29.07.2015 г.;
26. http://www.tppra.org/ru/publikacii/analiz-turisticheskoy-otrasli-respubliki-abhaziya-na-2016-g;
27. «Abkhazinform.com», 27.07.2015 г.;
28. Сухум 13 августа. Абхазия-Информ. http://abkhazinform.com/;
29. Прессслужба де-факто Президента Абхазии, 29.07.2015 г.;
30. http://www.tppra.org/ru/publikacii/analiz-turisticheskoy-otrasli-respubliki-abhaziya-na-2016-g;
31. https://sputnik-abkhazia.ru/infographics/20150624/1015025684.html - 24.06.2015 - Для безопасности отдыха в Абхазии туристам необходимо придерживаться рекомендаций Министерства внутренних дел Абхазии;
32. https://www.youtube.com/watch?v=jbMCs_hpLF0 - Абхазия испорченный отдых - Опубликовано: 22 июл. 2016; https://www.youtube.com/watch?v=8381Z-XhPj8 - Отдых в Абхазии - Советы отдыхающим - Опубликовано: 12 сент. 2016; https://www.youtube.com/watch?v=nvIv3vvg0BQ - Абхазия - не ходите дети в Африку гулять - Опубликовано: 9 авг. 2017;
33. https://www.ekhokavkaza.com/a/28668087.html - Август 09, 2017 - Мертвый сезон. Разочаровался ли в Абхазии российский турист?;
34. https://sputnik-abkhazia.ru/analytics/20160927/1019566854.html - 27.09.2016 - Главный инвестор абхазской экономики – российский турист;
35. http://www.gazeta-ra.info/index.php?ELEMENT_ID=9189 - 18.06.2014 - Есть над чем думать, есть над чем работать - Газета "Республика Абхазия";
36. https://www.vedomosti.ru/business/news/2017/12/20/745939-mandarinov - 20 декабря 2017- Экспорт мандаринов из Абхазии снизился вдвое из-за вредителей;
37. https://sputnik-abkhazia.ru/analytics/20171115/1022408172/proval-turisticheskogo-sezona-v-abxaziine-sluchajnost.html - 15.11.2017 - Провал туристического сезона в Абхазии – не случайность;
38. http://www.mk.ru/economics/2017/12/21/urozhay-abkhazskikh-mandarinov-sozhral-mramornyy-klop-kitayskaya-diversiya.html - 21.12.2017 - Урожай абхазских мандаринов сожрал мраморный клоп: китайская диверсия - Ущерб колоссальный, назревает социальный взрыв;
39. https://abkhaz-project.livejournal.com/177493.html - Засохшая программа. О печальных итогах восстановления сельского хозяйства Абхазии - Dec. 2nd, 2014

დანართი 1, ტურიზმი

ცხრილი 1

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
დასვენებისა და ტურიზმის ყველა დაწესებულების რიცხოვნობა (მათ შორის სანატორიუმები, სამკურნალო პანსიონატები, დასვენების სახლები და პანსიონატები და სხვ.)	53	59	63	68	73	73	74	77	76
საწოლი ადგილების რაოდენობა (დასვენებისა და ტურიზმის ყველა დაწესებულებაში)	10,104	10,755	11,294	12,061	12,871	12,892	13,489	14,629	13,919
დამსვენებელთა რიცხოვნობა (დასვენებისა და ტურიზმის ყველა დაწესებულებაში)	61,367	94,739	98,777	102,311	126,387	132,498	132,498	152,925	151,807

ცხრილი 2

რუსული რუბლის საშუალოწლიური კურსი
აშშ დოლართან მიმართებაში (2009-2017)
(**წყარო:** რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მონაცემთა ბაზა სავალუტო კურსებთან დაკავშირებით)

	აშშ დოლარი	**რუსული რუბლი**
2009	1	31.83
2010	1	30.36
2011	1	29.39
2012	1	31.08
2013	1	31.85
2014	1	38.61
2015	1	61.07
2016	1	66.08

დანართი 2. სოფლის მეურნეობა

ცხრილი ა

სოფლის მეურნეობის შეჯამებული მაჩვენებლები

	2005	2010	2013	2014	2015	2016
სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და მეურნეობების რიცხოვნობა	120	120	120	120	120	120
სამომხმარებლო საქონლის წარმოება, მლნ რუბლი ***მათ შორის:***	480,7	1880,4	2007,6	2239,2	3649,0	4560,3
საკვები პროდუქტი (ალკოჰოლური სასმელებისა და ლუდის გარეშე)	131,3	198,2	243,9	253,1	305,1	497,5
ღვინო-არყის ნაწარმი და ლუდი	223,6	657,6	1280,5	1423,1	2068,8	2105,4
არასასურსათო საქონელი	125,8	1024,6	483,2	563,0	1275,1	1957,4

ცხრილი ბ

სოფლის მეურნეობის ძირითადი მაჩვენებლები

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
დასათესი ფართობი **(ყველა კატეგორიის მეურნეობებში, გარდა მოსახლეობის მეურნეობებში), ჰა** ***მათ შორის:***	**6821**	**7454**	**6872**	**6953**	**6287**	**3654**	**3985**	**7331**
სიმინდი მარცვლეულისთვის	6450	7111	6582	6840	6002	3613	3934	6831
თამბაქო	3	3	3	-	-	-	-	-
კარტოფილი	52	37	90	32	20	-	-	83
ბოსტნეული	194	203	187	73	256	25	51	364
საკვები კულტურები	122	100	10	8	9	16	-	53
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი სახეობების მოსავლიანობა, ტ								
ჩაის ფოთოლი	380	874	239	200	-	-	-	17
თამბაქო	4	3	-	-	-	-	-	-
ციტრუსები	4670	4204	3281	4536	3245	7491	5254	6328
ბოსტნეული	1682	363	939	1626	1826	1566	3756	8692
კარტოფილი	212	230	39	382	333	-	-	500

ცხრილი გ

მემცენარეობის ძირითადი პროდუქტების მთლიანი მოსავალი და რეალიზაცია

	2012		2013		2014		2015		2016	
	მთლიანი მოსავალი, ათასი ტ	**რეალიზა-ცია, ტ**	**მთლიანი მოსავალი, ათასი ტ**	**რეალიზა-ცია, ტ**	**მთლიანი მოსავალი, ათასი ტ**	**რეალიზა-ცია, ტ**	**მთლიანი მოსავალი, ათასი ტ**	**რეალიზა-ცია, ტ**	**მთლიანი მოსავალი, ათასი ტ**	**რეალიზა-ცია, ტ**
მარცვლეული (სიმინდი)	14,2	4179,2	15,8	5411,7	16,1	5628,2	17,3	5831,0	16,7	5262,5
კარტოფილი	2,5	640,2	2,7	658,3	3,0	654,5	3,6	672,4	3,2	656,3
ბოსტნეული	15,2	7355,0	15,6	7474,1	15,3	7693,2	15,2	8231,3	15,5	7868,4
ხილი და კენკრა	12,2	6799,3	12,5	6939,4	12,2	7244,7	13,5	7451,8	12,9	7308,8
ციტრუსები	55,1	35486,7	56,2	33141,5	56,4	32511,8	52,4	29043,4	55,0	33645,9
ყურძენი	8,7		9,0		9,1		9,6		9,3	
ფეიხოა	13,5		13,4		13,7		14,2		13,8	
ხურმა	13,7		14,3		13,9		13,3		13,0	

ცხრილი დ

მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება წელიწადში (ათასი ტონა)

	2012	2013	2014	2015	2016
ხორცი (დაკლული წონა) – სულ მათ შორის	**7,0**	**7,6**	**8,7**	**8,9**	**8,8**
ძროხა და ხბო	5,1	5,7	6,5	6,9	6,6
ღორი	0,2	0,3	0,4	0,6	0,5
ცხვარი და თხა	1,7	1,6	1,8	1,4	1,7
რძე, ათასი ლ	39,4	43,8	57,4	67,3	62,0
კვერცხი, მლნ ცალი	2,4	2,2	2,4	2,8	2,9
თაფლი	0,4	0,6	0,4	0,5	0,6

ცხრილი ე

მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების რეალიზაცია (ტ)

	2012	2013	2014	2015	2016
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა)	1420,3	1452,2	1487,6	1553,0	1478,3
რძე და რძის პროდუქტები (რძეზე გადაანგარიშებით)	13120,0	13310,0	13701,4	14025,6	13639,2
კვერცხი, ათასი ცალი	609,4	616,8	625,3	630,2	624,3
თაფლი	302,4	310,6	322,8	326,3	318,5

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის
პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველო